

# სარგბიელი

ეროვნული  
ნიუს-აგენცია

საორთული გაზეთი

სუთვაბათი 25 თებერვალი 1999 №33 (806)

ფასი 50 თეთრი

## სარგბიელი

იუწყება, რომ  
2 პარტიდან გაზეთის ფასი  
1 ლარამდე გაიზრდება და  
პკითხველისთვის  
ერთგვარი კომპენსაციის  
მიზნით 16-გვერდიანი  
იქნება

## ქუთაისი დიდავას იბრუნებს



გივი დიდავამ,  
„ტორპედოში“  
თამაში ძალიან მინდაო

## გუს ჰილინკი დაითხოვს. მადრიდში ჯონ ტოშაკს ელიან



„რეალის“ და  
ჰოლანდიელი  
მწვრთნელის  
გზები გუშინ  
გაიყარა.

გუშინვე  
გაიყარა  
„ბემიქთაისისა“  
და უელსელი  
მწვრთნელის  
გზებიც



## ორი წამი და მთავარი

ქართულში საქათავა ნაბრძენი  
მანუჩარ მარაიძე

რამდენი  
მანუჩარ  
მარაიძე  
არსებობს  
ქვეყნად?



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## საქართველო 96:98 ლატვია

24 თებერვალი, თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი



## ქართული ილუზია

### საქართველოს ნაპრებს მწვრთნელი სჭირდება

მომცილები უმაღლესი ჩაცხრა... მსაჯთა მაგიდიდან რუ-  
სის ზორბა ბიძა წამოდა, ორი თითი აღმართა, შემდეგ  
მოწყვეტი ძირს დაუშვა და საზოგადოებას ლატვიელების  
გამარჯვება ამცნო, ქართველებს კი ზედიზედ მეცხრე და-  
მარცხება არგუნა. ეს კაცი დიდი რუსეთიდან მოვლენილი  
მოხელე, საქართველო — ლატვიის მატჩის დელეგატი,  
გვარად კარაღვესკი იყო და მის წინაშე ხმას ვინ აიმაღ-  
ლებდა? ისე, ალაღად გეტყვით და, პატიოსნად მოიქცა,  
მიგლინიეკის ბოლო წამზე ჩადებული დიხაც რომ ჩა-  
სათვლელი იყო. მაგრამ ეს ჩვენთვის, აბა, რა ნუგეშია?  
ნაკრებმა ამჯერადაც წააგო, თუმცა ბოლოდროინდელ  
ტრადიციას უღალატა და მაინცდამაინც არ შერცხვა. ბო-  
ლომდე, ღირსეულად იბრძოლა, მაგრამ ძალისა და აღმა-  
რთის სიბრძნე პირუკუ ვერ მოაქცია.

გუფიქრობ, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. მოიგო  
გუნდმა, რომელიც თითოეულ საკალათბურთო კომპონე-  
ნტში ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე. შეაძლოა, ჩემი  
სიტყვების სისწორეზე მატჩის საბოლოო ანგარიში ნაკლებ-  
ბად მეტყველებს, მაგრამ შეხვედრის თვითმხილველი, მით  
უფრო, კალათბურთის სპეციალისტი დამეთანხმება, რომ  
ზემოთ თქმული არცთუ უსაფუძვლოა. თუნდაც ის რად  
ღირს, რომ ჩვენებურთა მიერ ჩაფლავებული პირველი ტა-  
იმის შემდეგ გულშემატკივარი ერთთავად იმაზე მარჩიე-  
ლობდა, რამდენჯერმე წაგებას გვაკმარებდა მოწინააღმ-  
დეგე, რომელმაც ლალი და გააზრებული ბურთაობით ქარ-  
თველებს პირველ ნახევარშივე გადაუწურა წარმატების  
იმედი.

იხილეთ მეათე გვერდი


## საქართველოს თასი მეოთხედფინალის სასასუსო მატჩებში

## სენსაციური სამი წუთი

გუშინ თბილისში, რუსთავსა და  
წყალტუბოში საქართველოს თასის  
გათამაშების სამი  
ნახევარფინალისტი გამოვლინდა.  
„სინათლესა“ და „ფოლადზე“  
გამართული შეხვედრები  
ყოველგვარი მოულოდნელობების  
გარეშე დამთავრდა: „მერანმა“  
სამბურთიანი სხვაობის  
გაბათილება ვერ შეძლო და  
„არსენალზე“ ჯაერი 2:1 მოგებით  
იყარა. „ტორპედომ“  
გასაცოდავებული „გორდა“  
შეიბრალა და მხოლოდ ერთი  
უპასუხო ბურთით გამარჯვება  
იკმარა.

სენსაცია კი წყალტუბოში  
მოხდა. „სამგურალმა“ და გაიოზ  
დარსაძემ ვერ ორბურთიანი  
ჩამორჩენა დასძლიეს და თამაში  
ოვერტაიმში გადაიყვანეს, მერე კი  
პენალტების სერიაში საბოლოოდ  
იმარჯვეს.

იხილეთ მეორე გვერდი



ძნელი გამარჯვების საზღაური სიხარულია: „სამგურალიც“ ხარობს

მამუკა დარჩინა წყალტუბოდან









# ქართულში სამქოთა ნაკრებში



# მანუჩარ მარაიძე ორი ნაბი და მთავარი

○ თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი:

მანუჩარ მარაიძის დარი კიდევ ერთი ნახევარმეცველი რომ მომცა, ჩვენს გუნდს წინ ნამდვილად გერაფერი დაუდგებოდა.

○ იტალიური საფეხბურთო კლუბის „ნაპოლის“ მწვრთნელი:

რაოდენ ბედნიერნი ხართ ქართველები, რომ გყავთ ისეთი უნივერსალური და უნიკალური ნახევარმეცველი, საერთაშორისო კლასის ისეთი ბრწყინვალე დიდოსტატი, როგორც არის „დინამოს“ კაპიტანი მანუჩარ მარაიძე. ჩვენი ხანგრძლივი საფეხბურთო პრაქტიკის მანძილზე იშვიათად შეგვხვდებოდა ესოდენ ფართო დიაპაზონის ფეხბურთელი.

○ მანუჩარ მარაიძე „ლიტორატურული საქართველო“ — პარტიული მწვრთნელის სახელით:

მანუჩარ მარაიძემ ზღვა ენერჯია შეაღია ქართული ფეხბურთის ბოლო წლების დიდ გამარჯვებებს. უშურველად გაღებულ ენერჯია კი, როგორც იტყვიან, ამოდ არასოდეს იხარჯება. რამდენ, თითქმის წაგებულ თამაშში, იჩინა თავი მანუჩარის ასეთმა თავდადება.

○ მანუჩარ მარაიძე:

მანუჩარ მარაიძე ის უნიკალური ხე-მცენარეა, მხოლოდ მშობლიურ ნიადაგზე რომ ხარობს.

რამდენი მანუჩარ მარაიძე არსებობს ქვეყნად? ისე არ გამოვით, თითქოს მარაიძეთა გვარს ვიკვლევდე. იმ მანუჩარ მარაიძეზე გეკითხებით. რამდენია ის მანუჩარ მარაიძე? მე თუ მკითხვით, ორია, მთავარი და ორი წამისგან შექმნილი. მთავარი მანუჩარი თავდადებული, ერთგული, შეუპოვარი, პატიოსანი, წინამძღოლი ფეხბურთელია, თუმცა ჯობს ორწამიანი და ვიწყოთ. 1971 წელს ერევნის „არარატი“ ძლიერი გუნდი გახლდათ, თორემ, პირველ წრეში, თბილისში, „დინამოს“, აბა, 4:0-ს როგორ მოუგებდა. სიმწრისგან სულ თითები დაიკვირებდა ქართველებმა. მეორე წრეში, ცხადია, „დინამო“ ჩაიდა ერევანში.

იმ მატჩს სომხებმა სხვა ელფერი მისცეს, ახალაშენებული „რაზდანი“ სტადიონის საზეიმო გახსნას მაინც-ღამაინც „დინამოს“ დამარცხება უნდა დამთხვეოდა. რას იზამ, ასეა, როცა ძველი გამლიზიანებული ხარ. ათი წუთიც არ იყო გასული, გურამ პეტრიაშვილმა ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე რომ გადაიტანა და მარაიძეს გადააწოდა. მარაიძემ ჯერ ორი მეტოქე მოატყუა, მერე, უკვე საჯარიმოსთან, კიდევ ორს აუხანია თავგზა, რასაც დროული დარტყმა მოაყოლა... „რაზდანი“ გახსნაზე მეტი გოლი აღარ გასულა. 1972 წლის გაზაფხულზე, პარიზში, განახლებულ „პარკ დე პრენსზე“ პირველი მატჩი საფრანგეთი-

სა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებებს შორის გაიმართა. პირველი ტაიმის მიწურულს მარაიძემ საკუთარ საჯარიმოსთან მოინადირა ბურთი. იგი მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძრა, ცენტრს გადაცდა და დაახლოებით ოცდათხუთმეტი მეტრიდან „ცხრიანში“ გაჭედა. ამ ორმა წამმა შექმნა ერთი მანუჩარი. მეორე, მთავარი მანუჩარი კი გაელევათა კაცი არ ყოფილა. აღმოსავლეთ ტრიბუნიდან კარგად ჩანდა, როგორ გამოიკვეთებოდა გვირაბიდან მანუჩარ მარაიძის სილუეტი. ბურთი ჰქონდა ამოილიავებული. უკან სხვები მოჰყვებოდნენ. სულ ბოლო, ვოვა გუტავევი გამოდიოდა, მა-



მანუჩარ მარაიძე საბჭოთა კავშირის თასით ხელში

გრამ ამ დროს უკვე დასავლეთ ტრიბუნაც ყველაფერს ხედავდა და ტაშს უკრავდა. დასავლეთი აღმოსავლეთის კიყინით ხვდებოდა, რომ მანუჩარი გამორჩნდა, ესე იგი ბიჭები გამოდიან. მარაიძე მოედნის კედელსთან შეჩერდებოდა. შეგუფდებოდნენ ჩვენები. კაპიტანმა თავისებურად იცოდა ფეხების გაგარჯიშება, ჯერ ერთს გაიქნევა, მერე მეორეს. ამასობაში მოწინააღმდეგეც გამოვიდოდა და იწყებოდა სვლა მოედნის ცენტრისკენ. მთავარი მარაიძე მეტოქის კაპიტანს ხელს ჩამოართმევდა და, როგორც წესი, პირველ ტაიმში სამხრეთის კარი-სკენ შეტევას ამოიჩვენებდა. მერე კი იწყებოდა... „გრასპოპერის“ ხსენებაზე ყველას ციურინი, უნამუსო მსაჯი კიტაბჯანი და 0:4 აგონდება. მე კი პირველი, თბილისური თამაშის კარგად მასსოვს, იმტომ, რომ მანუჩარი მოწინააღმდეგის ოთხ-ხუთ მეტრთან ბრძოლასაც არ ერიდებოდა. ერთი ასეთი მომენტი ფოტოპარატმაც დაიჭირა და ის ფოტო, მერე, კედლის კალენდარს ამშვენებდა: ბურთი მარაიძეს აქვს, გარშემო კი „გრასპოპერია“. ეს იყო ნამდვილი მანუჩარ მარაიძე, კაცი, რომელიც არავის ეპუებოდა. ის, ვისთვისაც სულერთი იყო ერთი მოწინააღმდეგე დაუდგებოდა თუ მთელი გუნდი. სულერთი იყო, რადგან, ჯერ ერთი, დანებება არ სჩვეოდა, მეორეც იცოდა, რომ ყველას გავლა შეეძლო. ბურთი თუ მოიგდო, აღარ იშორებოდა, საყვედურობდა უამრავი ადამიანი. მაშინ კი არა, ახლახან, ამდენი წლის შემდეგაც შევესწარი ამ თემაზე ცხარე კამათს. ერთი რამ ვიცი, მანუჩარ მარაიძე ნაღდი კაპიტანი, ყოჩი იყო. მას ნები-სმიერ წამს შეეძლო ათივე თანაგუნდელის აყოლიება და თითქოს წაგებული თამაშის მოგება. მისი შეუპოვრობა გადამდები გახლდათ. ისიც ფაქტია, რომ მარაიძეს ბურთის ფლობის ფენომენალური ნიჭი ჰქონდა, ასეთი კაცი კი ჭკვიან მწვრთნელს შეუძლებელია არ გამოდგომოდა. მარაიძე „დინამოს“, ქართულ ფეხბურთს გამოადგა. კაცმა, რომლის სილუეტიც გვირახიდან პირველი გამოიკვეთებოდა ხო-

ლმე ზედიზედ 150 თამაში უტრავდოდ, უგრიბოდ, ვარსკვლავური ჭირვეულობის გარეშე ჩაატარა. საოცარია, ის ვარსკვლავი იყო, ჭირვეული კი არ ყოფილა. ამიტომაცაა მარაიძე ორი ორწამიანი და მთავარი. მათ თითქოს არაფერი აკავშირებოდა. ორი წამი ყისმათის ამბავია, ნამდვილი მარაიძე კი გაელევათა კაცი არ ყოფილა. თუმცა, სინამდვილეში ის ორი წამი ნამდვილი მარაიძის ცხოვრების ნაწილია. გამოდის, რომ განგებამ იცის, ვის, როდის და რატომ გაუდიმოს. საბჭოთა კავშირის ნაკრებში კი მანუჩარს იშვიათად იწყებდნენ. წითელ გუნდს უკიდურესად ქართველი ფეხბურთელი არ სჭირდებოდა. მარაიძეს საქართველოს ნაკრებში უნდა ეთამაშა, ასეთი კი მაშინ არ იყო, თუ „დინამოს“ არ ვიგულისხმებთ. მაგრამ „დინამო“ ხომ სულ სხვა შეჯიბრებაში მონაწილეობდა. ნიკიტა სიმონიანის დროს ითამაშა „დინამოს“ კაპიტანმა ნაკრებში რამდენიმე მატჩი. ბერძნებს თბილისში შეხვდნენ. მატჩის შემდეგ სიმონიანი ამბობდა, საბჭოთა კავშირის პირველობის ბოლო. მატჩში მარაიძემ ბურთი ტაქტიკურ-ტექნიკური ილეთი ჩაატარა, დღეს კი მხოლოდ ოთხიო. ეს გასაგებიც იყო: ჩემპიონატის თამაშში მანუჩარი ქართულ გუნდში ტრი-ალებდა, აქ კი, რუსულში. მე თუ მკითხვით, მარაიძისთვის მა-დრიდის „რეალი“ იქნებოდა ზედამოჭრილი. მერე კი მანუჩარი „დინამოდან“ გა-უშვეს. „დინამოს“ ყოფილა კაპიტანმა ტა-შკენტის „პასტაკორში“ ითამაშა ერთ-ხანს. „პასტაკორი“ ხომ ავიაკატასტ-როფაში დაიღუპა და ტაშკენტელები ახ-ალ გუნდს აყლიბდნენ. მარაიძეც გა-მოეხმურა, ხელი გაუშარათა. მოსკოვის „სპარტაკში“ იყო. ბოლოს კი ქუთაისის „ტორპედო-ში“ მივიდა. მანუჩარის დროინდელმა „ტორპედომ“ უმაღლესი ლიგის სა-ზური მოიპოვა. ქართულ გუნდში მარაიძე გამარჯ-ვებული გახლდათ.



მანუჩარ მარაიძე მთელი თავით მალა იდგა მეტოქეებზე








მორუსეთაბელი



ამ კაცისთვის სულერთია, რა შედეგს აჩვენებს ტრამპლინზე არც იმასა...

მომუშავებული თითოეული ქულა 6 წამის ტოლფასია. მარტო სპეციალისტებისთვის კი არა, გულშემატკივრებისთვისაც...

გუმბი მსოფლიოს ჩემპიონატზე კლავ ორჯონიკი დღე იყო, მაგრამ დიდძალად...



ბიარტევი გივი

რამსაუ. ავსტრია მსოფლიოს ჩემპიონატი. ტრამპლინიდან სტომა (120 მ, გუნდური)

კაცები

- 1.გერმანია (სვენ პანავალი, კრი-სტოვ დიუფერი, დიტერ ტომა, მარტინ შმიდტი) — 988.0

ქოკი

23 თებერვალი აოსტონი — ოტავა 5:2

3:1 10 11

1:0 ტილორი 1:31 (4); 1:1 მაიჩერნი 10:01 (27); 2:1 ელისონი 12:29 (16); 3:1 კარტერი 17:40 (9); 4:1 მანი 32:01 (2); 4:2 არვედსონი 41:45 (13); 5:2 მანი 52:03 (3)

ხუთმატიანი მოეზაურობიდან შინ დაბრუნებულ ბოსტონს წამყვანი სამეულის ფორვარდი სერგეი სამსონოვი...

ქოკორადო — ვანკუვერი 4:4

1:3 2:0 1:1 0:0

0:1 ნესლუნდი 4:09 (30); 1:1 დრური 4:48 (13); 1:2 მუკალტი 7:33 (16); 1:3 ნესლუნდი 11:44 (31); 2:3 დედმარში 27:08 (17); 3:3 ფორსბერგი 30:19 (17); 3:4 ოკუანი 42:07 (15); 4:4 დედმარში 47:09 (18)

ვანკუვერისთვის ეს პრინციპული მატჩი იყო. მართალია, გუნდმა პრაქტიკულად დაკარგა პლეი ოფში გასვლის შანსი...

სლალომპრობლეპა სრ. ოხი

ფლემანდელ მსოფლიოს თასზე სამოთხილამურე ქალები სლალომში შედეგად გაეჯიბნენ ერთმანეთს და ჯერ არ ყოფილა...



სპელა პრეტნარი

ახლა კვლავ შევიცარიის მიუბს დაუბრუნდით. პრეტნარმა ორი დამეების ჯამში საუკეთესო დრო 1:26.93 აჩვენა...

საერთო ჩათვლაში კი ვითარება არ შეცვლილა. მსოფლიოს თასის გათამაშებას ისევ ავსტრიელი ალექსანდრა მაიზნიცერი (1:30) ლიდერობს

კასი და ზანგი



ბოსტონელთა შავკანიანმა ფორვარდმა ენსონ კარტერმა (33) შავი დღე აყარა ოტავის დაცვას

ლუნდა უმცირესობაში ორჯერ (!) დასაჯა მასპინძლები შეცდომებისთვის, მაგრამ საბოლოოდ კოლორადოლებმა ოთხზე შანსი რიცხვგამარჯობაში შეაგდეს...

ნავშილი — დალასი 3:4


2:1 10 0:3 0:1 მოდანი 9:50 (21); 1:1 ეჩინამი 12:39 (8); 2:1 ჟოკერი 18:15 (8); 3:1

ჟოკერი 20:37 (9); 3:2 ვერბიკი 47:50 (13); 3:3 მოდანი 49:01 (22); 3:4 მოდანი 55:37 (23) მატჩის შემდეგ ერთობ გასარებული იყო მისი გმირი, დალასის ლიდერი მაიკ მოდანი...

კვირის მოთამაშე

მიროსლავ შტანი (ბუფალო)

ბუფალოს ფორვარდი მიროსლავ შტანი გოლის გატანას რომ დააპირებს, ძნელად თუ ვინმე წინ აღუდგეს. დეკემბერ-იანვარში სლოვაკმა ჩინებული რვა მატჩიანი სერია მოიწყო — არც ერთი მატჩი უგოლოდ (სეზონის საუკეთესო მიღწევა), მერე ცოტა ხანს დაისვენა და თებერვალში კვლავ საქმეს შეუდგა...



საუკეთესო ექვსეული

რონ ტანგლი (ოტავა, 2); სერგეი ვონზარი (ვანინგტონი, 1) — კენი იუნსონი (აილენდერსი, 1); ვიაჩესლავ კოზლოვი (დეტროიტი, 1) — მიროსლავ შტანი (ბუფალო, 1) — ტეო ფლერი (კალგარი, 3)

კალბარელ ტეო ფლერის კლუბისადმი ერთგულება დაუფასდა

თელი კარიერა „აილბის“ რიგებში გაატარა. პარასკევს ანაჰაიმთან (6:3) თამაშის მე-17 წუთზე „Mighty Mouse“-მა ბობ ბასენს გადასცა ზუსტი პასი და კარიერაში 822-ე ქულით „აილბის“ რეკორდსმენ ელ მაკინისს გაუტოლდა...

უქმები ძალიან უხვგოლიანი გამოდგა

პარასკევს და კვირას ჩატარებულ თამაშებში ორ-ორი პეტი თრიქი დაფიქსირდა, რაც ურთობ იშვიათია. მათი ავტორებიდან ყველაზე გასარებული ბოსტონელი დემიტრი ხრისტინი იყო, რომელმაც 3 გოლს (კარიერაში მე-3 პეტი თრიქი) 1 პასიც დაამატა, „დათვებას“ მოაგებინა და, რაც მთავარია, ღრმა კრიზისისკენ დააღწია თავი. მანამდე 12 თამაშში მას 1 გოლი გაეტანა და კლუბის თავკაცი პეტ ბერნსი მუდმივად აკრიტიკებდა. დეტროიტელი ვიაჩესლავ კოზლოვი კი შეწუხებული ჩანდა და ბუფალოსთან (4:4) მატჩის შემდეგ ეს გასაკვირია — სამივე პერიოდში თითო-თითო გოლის ავტორი (კარიერაში მე-3 პეტი, თრიქი) ოვერტიმშიც ორჯერ ძალიან ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ბედმა უშტურა...

Table with 3 columns: Player Name, Points, Goals. Lists players like Jari Kurri, Mats Wilander, etc.


სარგებელი

REUTERS არჩედაბ





სტეფანიაუზ ითაგაუ



ჰიუსტონი — სიეტლი. ჰიუსტონელმა ჰაქიმ ოლაჯუნმა (ბურთით) აშკარად დაჩაგრა სიეტლელთა ცენტრი ოლდენ ბოლინაისი

REUTERS პოუსტონიდან

ირაკლი ჯაფარიძე: უკეთესად შეგველო, გვეთამაშა, პირველი ტაიმი პირწმინდად წავაგეთ...

ლა დავუბრუნდი და ბიჭებთან შეთამაშებამაც ხელახლა მომიწია...

დავით ბერაქიანი: მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ...

ვლადიმერ ბოინსა: ნაკრების თამაშზე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა...

ლეონ პარაბაძე: ხშირმა ტრავმებმა გამაწაბა, ნაკრებს ახლა...

მატჩის პირველ ნახევარში თამაში არ წამივიდა. სამი-ოთხი ისეთი შეცდომა დავუშვი...

ზურაბ ბონაფილი მამუკა ტულუში

Table with columns for team statistics: A ჯგუფი, B ჯგუფი, C ჯგუფი, D ჯგუფი, E ჯგუფი.

23 თებერვალი

ჰიუსტონი 98:86 სიეტლი

ჰიუსტონი: მობლი (19), დიკერსონი (9), პიპენი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (17), ოლაჯუნსონი (19 ქულა, 10 მოხსნა), პრაიზი (10), ბალარდი (3), მილერი (2), დრიუ

სიეტლი: პეტრონი (26 ქულა, 10 პასი), ლუისი შრემპფი (20), ბეიკერი (9), პოლინაისი (1), ელისი (12), პოკინსი (12), სტეფანია (2), ვილიამსი (2), ნორისი (2), კოტონი

მშენებელი სტარტისა და იუტას ძლიერების შემდეგ, როცა ყველა ფიქრობდა, სიეტლი შეუწყრებელაო, „სუპერსონიქსმა“ ბოლო სამ მატჩში ორჯერ წაგო და ამას ჰიუსტონთან მარცხიც მიაყოლა.

დეტროიტი 106:80 ტორონტო

დეტროიტი: სტეკაუზი (18) ტორონტო: ვოლესი (16)

დეტროიტის ღვაწლმოსილმა ვეტერანმა ჯო ლუმარსმა მუხლის ტრავმა მოიწინა და გუნდში დაბრუნება ტორონტოსთან მოგოვებული 16 ქულით აღნიშნა...

ნიუ იორკი 82:74 ნიუ ჯერსი

ნიუ იორკი: იუნიგა (20 ქულა, 11 მოხსნა)

სტარტზე ორი მარცხის შემდეგ, თან „გოლდენ სტეტიდან“ გადასულ ლატრელ სპრიუელთან ერთად, ნიუ იორკმა, როგორც იქნა, თავისი თამაში იპოვა...

დალასი 89:85 ატლანტა

დალასი: ფინლი (22) ატლანტა: ბლილი (22) ატლანტაში ზედიზედ მესამედ შმი მოისაკლისა თავისი ლიდერი სტივენ სმიტი და გვარიანად დაეტყო...

ჩიკაგო 88:90 მილუოკი

ჩიკაგო: კუკოი (19 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

მილუოკი: რობინსონი (24) ატლანტასთან გამარჯვებით და 22 ათასი გულშემატკივრის თავგამოდებული ქომაგობით გამხსნვეულმა „ჩიკაგო ბულსმა“ მილუოკისთან იგივე მონიღომა და ბოლო მეოთხედში ტონი კუკოის მეთაურობით მიიღო ათქულიანი სხვაობა ნოლაშდე დაიყვანა...

კლიპერსი 89:94 გოლდენ სტეტი

კლიპერსი: მიურე (30), ტვილორი (23 ქულა, 11 მოხსნა)

გოლდენ სტეტი: სტარქსი (18 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

კლიპერსი რომ ლიგის სუსტი გუნდია, ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. ლოსანჯელესელთა შინაგ კი ვერ მოუგეს გოლდენ სტეტი, საშუალოზე დაბალი ლონის გუნდს, მით უმეტეს, რომ მასპინძლები ბოლო მეოთხედის დასაწყისში იგებდნენ კიდევ.

ჰანჯაუერსი 93:83 ლიუიკანსი


ჰანჯაუერსი: აბდურ-რაჰიმი (28 ქულა, 14 მოხსნა)

ლიუიკანსი: ონილი (26 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი, 6 დაფარება)

ჰანჯაუერსმა კლიპერსის ქომაგს, მაგრამ არაფერი ელოდა, თუ მეორე ლოსანჯელესურ გუნდსაც დაამარცხებდა. ლიუიკანსიში მხოლოდ ლიდერი შაკილ ონილი იბრძოდა. მეორე ლიდერი კობი ბრაიანტი იმ დღეს უღიძობად გამოიყურებოდა. მისი 21 სროლიდან მხოლოდ ხუთმა უწია მიზანს და კობიც 11 ქულას დასჯერდა. მასპინძელთა ლიდერი შარიფ აბდურ-რაჰიმი კი მართლაც შეუდარებელი იყო და თავის გუნდს თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა.

ირაკლი ფირაზილი

Table with 5 columns: Player Name, Points, Rebounds, Assists, Steals. Lists statistics for various players like ორლანდო, ნიუ იორკი, მაიამი, ფილადელფია, ვაშინგტონი, ბოსტონი, ნიუ ჯერსი, ინდიანა, მილუოკი, კლივლენდი, ატლანტა, დეტროიტი, ტორონტო, ჩიკაგო, შარლოტი, ჰანჯაუერსი, მინესოტა, პიუსტონი, სან ანტონიო, ვანუერვი, დალასი, დენვერი, პორტლენდი, სიეტლი, ფინიქსი, ლიუიკანსი, სკარამენტო, გოლდენ სტეტი, კლიპერსი.



სადავო გდგბა რეზო ჩხეიძემ რაიმონდს მიგლინიესს მოუგო

